

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგეობა



გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგეობის ადმინისტრაციული შენობის და გამგეობის ტერიტორიალური ერთეულების (საუბნო განყოფილებები) კუთვნილი ოთახების და ეზოს მოვლა-დასუფთავებისა და სანიტარული ჰიგიენის დაცვის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის

სატენდერო დოკუმენტაცია

ქ. თბილისი

2016 წელი

სარჩევი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის.....	3
2. ტექნიკური დოკუმენტაცია და დამატებითი მოთხოვნები	4
3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი	7
4. დანართი N1 პრეტენდენტის რეკვიზიტები	12
5. დანართი N2 ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების თაობაზე.....	13
6. დანართი N3 ფასების ცხრილი.....	14

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების შესაბამისად.

1.2. ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3. ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვისას უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4. შემსყიდველ ორგანიზაციაში წარმოსადგენი ყველა დოკუმენტის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია პრეტენდენტი.

1.5. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.6. სატენდერო დოკუმენტაციაში განსაზღვრულ შესასყიდ საქონელზე, სადაც მითითებული იქნება კონკრეტული სასაქონლო ნიშანი, მოდელი, წარმოშობის წყარო ან მწარმოებელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) იგულისხმება „მსგავსი“ ან „ეკვივალენტური“.

1.7. იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია ტენდერისთვის სტატუსის „წინადადებების მიღება დასრულებულია“ მინიჭებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღეში პრეტენდენტისაგან მოითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას, რაზეც პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას სსიპ „ლევან სამხარაულის სახ. ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან აკრედიტაციის ცენტრის მიერ ლიცენზირებული ექსპერტის გაცემული შესაბამისი დასკვნა (ამ შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნეს აკრედიტაციის ცენტრის მიერ გაცემული ლიცენზია). ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენლობა ან/და უარყოფითი დასკვნის წარმოდგენა გამოიწვევს შესაბამისი პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას. ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებაზე ვრცელდება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-12 მუხლის მე-11-მე-14 პუნქტებით განსაზღვრული წესები.

2. ტექნიკური დოკუმენტაცია და დამატებითი მოთხოვნები

2.1. შესყიდვის ობიექტის აღწერა - მიმწოდებელმა 2017 წლის განმავლობაში უნდა უზრუნველყოს შემდეგი სახის მოვლა-დასუფთავებისა და სანიტარული ჰიგიენის დაცვის მომსახურების მიწოდება:

2.1.1. მთაწმინდის რაიონის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა:

მისამართი: ძმ. ზუბალაშვილების ქ. N48;

შენობის დასასუფთავებელი ფართი - 2337,9 კვ.მ.;

ფანჯრების ფართი - 409,32 კვ.მ.;

სველი წერტილები - 14 (ერთეული);

ასფალტირებული ეზო - 544,0 კვ.მ.

დასუფთავების ინტენსივობა - დღეში ერთხელ (სამუშაო დღეებში), სამუშაო დღის განმავლობაში უნდა იყოს მორიგე დამლაგებელი;

მინების შიგნიდან წმენდა ორ თვეში ერთხელ, გარედან - სამ თვეში ერთხელ;

შენობის კონდიციონერებისა და გათბობის სისტემების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა (ეს უკანასკნელი საჭიროებს 24 საათიან მორიგეობას).

2.1.2. მთაწმინდა-სოლოლაკის საუბნო განყოფილების შენობა:

მისამართი: რუსთაველის გამზ. N18;

შენობის ფართი - 80,0 კვ.მ.;

ფანჯრების ფართი - 7,0 კვ.მ.;

სველი წერტილი - 1;

დასუფთავების ინტენსივობა - დღეში ერთხელ (სამუშაო დღეებში);

მინების შიგნიდან წმენდა ორ თვეში ერთხელ, გარედან - სამ თვეში ერთხელ;

2.1.3. ვერის საუბნო განყოფილების შენობა:

მისამართი: ბარნოვის ქ. N29;

შენობის ფართი - 55,52 კვ.მ.;

ფანჯრების ფართი - 8,0 კვ.მ.;

სველი წერტილი - 1;

დასუფთავების ინტენსივობა - დღეში ერთხელ (სამუშაო დღეებში);

მინების შიგნიდან წმენდა ორ თვეში ერთხელ, გარედან - სამ თვეში ერთხელ;

2.1.4. კიკეთი-კოჯორის საუბნო განყოფილების შენობა:

მისამართი: კოჯორი, გ. ტაბიძის ქ. I ჩიხი, N2;

შენობის ფართი - 364,50 კვ.მ.;

ფანჯრების ფართი - 90,0 კვ.მ.;

სველი წერტილი - 2;

დასუფთავების ინტენსივობა - დღეში ერთხელ (სამუშაო დღეებში);

მინების შიგნიდან წმენდა ორ თვეში ერთხელ, გარედან - სამ თვეში ერთხელ;

2.1.5. წავკისი-შინდისი-ტაბახმელას საუბნო განყოფილების შენობა:

მისამართი: ტაბახმელა, თბილისი-კოჯორის გზატკ. N25;

შენობის ფართი - 138,75 კვ.მ.;
ფანჯრების ფართი - 30,0 კვ.მ.;
სველი წერტილი - 0;
დასუფთავების ინტენსივობა - დღეში ერთხელ (სამუშაო დღეებში);
მინების შიგნიდან წმენდა ორ თვეში ერთხელ, გარედან - სამ თვეში ერთხელ;

2.1.6. მიმწოდებელმა ყველა მისამართზე უნდა უზრუნველყოს შენობების შიდა ტერიტორიის, ფასადის შუშების, ფანჯრის მინების და ვიტრაჟების, ავეჯის და ინვენტარის დალაგება-დასუფთავებისათვის საჭირო ინვენტარისა და შესაბამისი სარეცხი-სახეხი საშუალებების შეძენა და სველ წერტილებში ჰიგიენური საშუალებების: თხევადი საპონის, ხელსახოცის და ტუალეტის ქაღალდის მიწოდება (საჭიროების მიხედვით); დეზინფექციის, დერატიზაციისა და დეზინსექციის მომსახურება (წელწადში ოთხჯერ). მომსახურე პერსონალი აღჭურვილი უნდა იყოს საჭირო უნიფორმით.

2.3. სხვა მოთხოვნები

2.3.1. მიწოდების პირობები და ვადები: შესყიდვის ობიექტის მიწოდება ტექნიკურ დავალებაში მოცემული პირობებით მოხდება ეტაპობრივად, ზემოთ აღნიშნულ მისამართებზე. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა: 2017 წლის 01 იანვრიდან - 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2.3.4. პრეტენდენტის მიერ 2014 წლის 1 იანვრიდან გაწეული ანალოგიური მომსახურების (ობიექტების მოვლა-დასუფთავება და სანიტარული ჰიგიენის დაცვა) საერთო ღირებულება არ უნდა იყოს 50 000 ლარზე ნაკლები.

2.4. სატენდერო წინადადების ფასი

2.4.1. სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და გადასახადის გათვალისწინებით. პრეტენდენტმა სატენდერო წინადადების ფასის გაანგარიშებისას უნდა გაითვალისწინოს დალაგება-დასუფთავებისათვის საჭირო ინვენტარისა და შესაბამისი სარეცხი-სახეხი საშუალებების შეძენის ხარჯები და სველ წერტილებში ჰიგიენური საშუალებების: თხევადი საპონის, ხელსახოცის და ტუალეტის ქაღალდის მიწოდების ფასები. აგრეთვე, დეზინფექციის, დერატიზაციისა და დეზინსექციის სამუშაოების ხარჯები.

2.4.2. სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარში.

2.5. ანგარიშსწორების პირობები:

2.5.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

2.5.2. ანგარიშსწორება მოხდება ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

2.5.3. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

2.6. დამატებითი ინფორმაცია:

2.6.1. პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

2.6.2. სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის საფუძველზე: ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონის გამგეობა, ძმ. ზუბალაშვილების ქ. N48, სატენდერო კომისიის აპარატის წევრი - დავით კასრაძე. ტელ: 237 29 83; 577 15 88 38. ელ. ფოსტა. d.kasradze@tbilisi.gov.ge.

2.7. პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

2.7.1. რეკვიზიტები და სატენდერო წინადადების ფასი (დანართი N1);

2.7.2. ინფორმაცია პრეტენდენტის მიერ განხორციელებული ანალოგიური მიწოდების თაობაზე (დანართი N2).

2.7.3. ფასის ცხრილი (დანართი N3).

• პრეტენდენტის მიერ სატენდერო წინადადების წარმოდგენა ნიშნავს, რომ იგი ეთანხმება შემსყიდველის ყველა იმ მოთხოვნას რომელიც აღწერილია სატენდერო დოკუმენტაციაში.

**7. ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ**

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ქ. თბილისი

თარიღი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგეობა (შემდგომში - „შემსყიდველი“), წარმოდგენილი გამგებლის - გელა არჩვაძის სახით და, მეორეს მხრივ, ----- (შემდგომში - „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი ---- სახით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობებზე და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე.

**2. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება,
ხელშეკრულების ღირებულება, ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა**

2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგეობის ადმინისტრაციული შენობის და გამგეობის ტერიტორიალური ერთეულების (საუბნო განყოფილებები) კუთვნილი ოთახების და ეზოს მოვლა-დასუფთავებისა და სანიტარული ჰიგიენის დაცვის მომსახურება, რომელიც განსაზღვრულია მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ერთეულის ფასებით მოცემულია ხელშეკრულების დანართში, თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2.2 შესყიდვის საშუალება – გამარტივებული ელექტრონული ტენდერი.

2.3 ელექტრონული ტენდერის განცხადების ნომერი -----.

2.4 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ---- ლარს, ყველა გადასახადის ჩათვლით.

2.5 კლასიფიკატორის კოდი - 90910000.

2.6 ხელშეკრულება ძალაში შედის გაფორმებისთანავე და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

3. მომსახურების გაწევის პირობები

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება მოხდება ეტაპობრივად, 2017 წლის 01 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3.2 მიწოდების ადგილი – ქ. თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. N48; რუსთაველის გამზ. N18, ბარნოვის ქ. N29; კოჯორი, გ. ტაბიძის ქ. I ჩიხი N2; ტაბახმელა, თბილისი-კოჯორის გზატკ. N25.

3.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდება მოხდება სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკურ დავალებაში მოცემული პირობებით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

4.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ შესყიდვის ობიექტი იქნება სტანდარტებთან შესაბამისობაში.

4.2. შესყიდვის ობიექტს არ უნდა გააჩნდეს უფლებრივი ან/და ნივთობრივი ნაკლი, რომელიც აუარესებს მისი გამოყენების მაჩვენებელს.

4.3. შემსყიდველი ვალდებულია წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

4.4. შეტყობინების მიღების შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ მითითებულ ვადაში აღმოფხვრას არსებული დეფექტები საკუთარი ხარჯით. მიმწოდებელს დაეკისრება, როგორც ხელშეკრულების ობიექტის დეფექტების აღმოფხვრა, ასევე აღნიშნული დეფექტების შედეგად შემსყიდველისა და მესამე პირებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

4.5. თუ მიმწოდებელი ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებით მიღებული შეტყობინების შემდეგ არ შეასრულებს თავის ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებლის ხარჯით უზრუნველყოს არსებული დეფექტების გამოსწორება.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ნებისმიერ ეტაპზე ახორციელებს შემსყიდველი.

5.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის გამგეობის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირები.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

5.4 იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვითონ შემსყიდველი.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ ორმხრივად ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე, ტექნიკურ ზედამხედველობაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ წინარე ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.2 პუნქტში მითითებული პირები.

6.3 მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

7. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

7.2 ანგარიშსწორება მოხდება ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

7.3 მიმწოდებელზე პირგასამტეხლოს დაკისრების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას ანგარიშსწორებაზე. ამ შემთხვევაში ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ შესაბამის ანგარიშზე დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის შემდეგ.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა (საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა, და გადახდის ვადები)

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

8.2 მიმწოდებლის მიზეზით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელი დაჯარიმდება ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8.3 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში.

8.4 ხელშეკრულების 7.2 პუნქტის მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს უფლება აქვს მოთხოვოს შემსყიდველს პირგასამტეხლო ჩასარიცხი თანხის 0,5%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს მოხდა შემსყიდველისაგან დამოუკიდებელი მიზეზით.

8.5 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებლის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

9.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეატყობინოს შემსყიდველს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი, ხოლო შემსყიდველმა აცნობოს მიმწოდებელს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება და ამოქმედების თარიღი.

9.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:

- ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში;
- ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
- გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

9.6 ამ მუხლის 9.5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულება, მიმწოდებლისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხის გადახდის შემდეგ.

9.7 ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია აგრეთვე მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობებით.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ფორსმაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყერების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია.

10.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ,

მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

11. უსაფრთხოება და გარემოს დაცვა

11.1 მიმწოდებელმა მომსახურების გაწევის დროს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და არსებული ნორმების შესაბამისად, უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.

11.2 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენის მინიმუმადე დაყვანა.

11.4 მიმწოდებელი ვალდებულია დაიცვას საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი უსაფრთხოების ნორმები. აღნიშნულ ნორმათა დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ყოველ კონკრეტულ დარღვევაზე დაეკისრება შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული ჯარიმა.

11.5 ჯარიმის გადახდა მიმწოდებელს არ ათავისუფლებს დარღვევის აღმოფხვრისაგან.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. უფლებების გადაცემა

13.1 ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი უფლება-მოვალეობების გადაცემა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით (შემსყიდველი - მიმწოდებელი - მესამე პირი).

14. ღირებულების შეცვლის პირობები

14.1 მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია ხელშეკრულების საერთო ღირებულების შეცვლა.

14.2 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრების (ერთეულის ფასის) შეცვლა დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

14.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

14.4 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

15. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

15.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე

ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.

15.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

16.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით.

16.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების თაობაზე შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

16.3 ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვა და ამ უფლებების გამოყენების პროცესში წარმოშობილი დავების მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

16.4 ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

16.5 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

17. სხვა პირობები

17.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

17.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

17.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

18. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მთაწმინდის რაიონის გამგეობა
ს/კოდი: 204521954
მის: ძმ. ზუბალაშვილების ქ. №48.
სს „ლიბერთი ბანკი“ ცენტრ. ფილიალი
ა/ა № GE95LB0125152101627000

ბანკის კოდი LBRTGE22

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი, თანამდებობა:

პრეტენდენტის იურიდიული და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის დასახელება და კოდი:

ანგარიშის ნომერი:

2. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი:

ინფორმაცია

2014 წლის 1 იანვრიდან განხორციელებული ანალოგიური

მიწოდების თაობაზე

N	მომსახურების დასახელება	შემსყიდველის დასახელება და სატენდერო განცხადების N	მომსახურების გაწევის პერიოდი (წელი)	გაწეული მომსახურების ღირებულება (ლარი)
	სულ:			

შენიშვნა:

- პრეტენდენტს 2014 წლის 1 იანვრიდან უნდა გააჩნდეს მინიმუმ 50 000 ლარის ანალოგიური მომსახურების მიწოდების გამოცდილება. აღნიშნული ინფორმაციის სახით მოცემული უნდა იყოს წინამდებარე ცხრილში, რომელიც ატვირთული უნდა იქნას ერთიან ელექტრონულ სისტემაში.
- თუ შესყიდვა არ განხორციელებულა სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენებით, ამ შემთხვევაში უნდა აიტვირთოს გაწეული მომსახურების დამადასტურებელი საბუთი (მიღება-ჩაბარების აქტები გაწეული მომსახურებით ღირებულების მითითებით).

მთაწმინდის რაიონის გამგეობის ადმინისტრაციული შენობის და
 გამგეობის ტერიტორიალური ერთეულების (საუბნო განყოფილებები)
 კუთვნილი ოთახების და ეზოს მოვლა-დასუფთავებისა
 და სანიტარული ჰიგიენის დაცვის მომსახურების
 ფასის ცხრილი

N	ობიექტის მისამართი	საერთო ფართი (კვ.მ.)	ფანჯრების ფართი (კვ.მ.)	სველი წერტილები	ერთი თვის ხარჯი (ლარი)	სულ წლიური ხარჯი (ლარი)
1	2	3	4	5	6	7
1	ძმ. ზუბალაშვილების ქ. N48	2881,9	409,32	14		
2	რუსთაველის გამზ. N18	80,0	7,0	1		
4	ბარნოვის ქ. N29	55,52	8,0	1		
5	კოჯორი, გ. ტაბიძის ქ. I ჩიხი, N2	364,50	90,0	2		
6	ტაბახმელა, თბილისი-კოჯორის გზატკ. N25	138,75	30,0	0		
	ჯამი	X	X	X	X	